



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი  
ბრძანება

თბილისი



MES 7 21 0000354511



13/04/2021

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის - საკოორდინაციო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტისა და 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ 5<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 07 აპრილის N334006 წერილის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებად დაინიშნონ:
  - ა) **ჰელი მატისენი** - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი;
  - ბ) **კაი ეტზოლდი** - უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი;
  - გ) **მაია შუხოშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი;
  - დ) **შალვა მეკრავიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული

სასწავლო გეგმა დანერგვა და მონიტორინგი" პროგრამის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქვეპროგრამის" ფარგლებში სამოქალაქო განათლების ექსპერტი;

ე) **რუსუდან სანაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;

ვ) **ზაზა ფურცელაძე** - ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში;

ზ) **ანასტასია ქიტიაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;

თ) **თეა გულუა** - გაეროს განვითარების პროგრამის განათლების მენეჯმენტისა და ინოვაციების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი;

ი) **მაკა აბულაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;

კ) **კახაბერ ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლ) **ირმა ქურდაძე** - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მ) **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

